ქალები პოლიტიკაში - გამოწვევები და რეალობა

თანამედროვე მსოფლიო დიდი ხანია შეთანხმდა, რომ ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა. გენდერის საკითხებზე მომუშავე ექსპერტები ამბობენ ქალების მონაწილეობის გარეშე ვერცერთი ქვეყანა ვერ უზრუნველყოფს თანასწორი და სამართლიანი პოლიტიკის ჩამოყალიბებას, რომელიც მორგებული იქნება ყველა ჯგუფის ინტერესზე. წელს საქართველოს პარლამენტში ქალების 15 % -ი არის წარმოდგენილი. ,,ქალთა საინფორმაციო ცენტრის" ხელმძღვანელი ელენე რუსეცკი ამბობს რომ გენდერული კვოტირების კუთხით ცვლილებები ერთერთი წინგადადგმული ნაბიჯია თუმცა დაბრკოლებები და ხელისშემშლელი ფაქტორები კვლავ ბევრია

,, რაც შეეხება ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას, გენდერული კვოტების კუთხით. კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება, რაც ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯია და ამ ფონზე, დღევანდელი სურათი გვაქვს ასეთი, რომ სულ 15 % ქალი გვყავს დღეს პარლამენტში, რაც არის ძალია მცირე რაოდენობა. ოპოზიციას რომ უარი არ ეთქვა, ამ შემთხვევაში, დაახლოებით 20%-მდე ადიოდა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა. შესაბამისად, ბევრი დაბრკოლება აქვთ ქალებს დღეს. საკანონმდებლო სივრცე გაუმჯობესებულია და ამით გარკვეულწილად, შემდგომ არჩევნებზე უფრო გაუმჯობესდება. თუმცა იგივე სტერეოტიპიები, ,,შუშის ჭერი" უხილავი ბარიერები, რომელიც არსებობს, ხელს უშლის ქალებს ჩაერთონ პოლიტიკაში. ხშირ შემთხვევაში, ეს არის ოჯახი, რაც კარიერულ ზრდაში წინააღმდეგობას უწევს ქალებს და შესაბამისად, ბევრი ქალი არ არის რეალიზებული ქვეყანაში, იმისათვის, რომ გარკვეული წვლილი შეეტანათ. თუმცა ვხედავთ, რომ ის ქალები, რომლებიც მოვიდნენ დღეს პოლიტიკაში, ან პოლიტიკურ პროცესებში არიან ჩართულები, საკმაოდ აქტიურები არიან და მათი ხმა უფრო ხშირად გვესმის. პრობლემები ისევ ბევრია და იმედია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, ცოტა უკეთესი მდგომაროება გვექნება, თუმცა პოლიტიკურმა კრიზისმა კიდევ უფრო გაართულა ამ კუთხითაც მდგომაროება." აცხადებს ელენე რუსეცკი.

ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებში 2 058 წევრიდან, ქალი მხოლოდ 277-ია. არც ერთ თვითმმართველ ქალაქს არ ჰყავს ქალი მერი და მუნიციპალიტეტების მიერ არჩეულ 59 მერს შორის, ქალი მხოლოდ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერია. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში კი, 40 წევრიდან მხოლოდ 7

ქალია. შიდა ქართლის ოთხივე მუნიციპალიტეტს კაცი მერი მართავს - ეკატერინე სუხიშვილი ერთადერთი ქალი იყო რომელსაც გორის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობა ეკავა თუმცა ის გასულ წელს ამ თანამდებობაზე სხვამ - ისევ კაცმა ჩაანაცვლა.

ერთერთ წინგადადგმულ ნაბიჯად შეფასდა გენდერული საბჭოების შექმნა კერძოდ კი - 2016 წელს თვითმმართველობის კოდექსში და გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში შევიდა ცვლილებები და სავალდებულო გახდა მუნიციპალიტეტებს ჰქონოდათ გენდერული საბჭოები და ამავდროულად, მუნიციპალიტეტში ყოფილიყო გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი. გორის საკრებულოში, გენდერის საბჭოს ხელმძღვანელი, ნათია ომაძე ამბობს, რომ **საბჭოს მიზანია, მუნიციპალიტეტში მოხდეს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა.** როგორც ცნობილია, საბჭო შედგება 21 წევრისგან - აქედან უმრავლესობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენელია; მათგან მხოლოდ 1 წარმოადგენს არასამთავრობო სექტორს, 4 კი - მერიას.

კვოტირების კუთხით საქართველოში პირველი ნაბიჯები 2011წელს გადაიდგა - პარტია, რომელიც პროპორციული საარჩევნო სიის ყოველ ათეულში ორ ქალ კანდიდატს წამოაყენებდა საბაზრო დაფინანსების 10%-იან დანამატს მიიღებდა, 2014 წელს საბიუჯეტო წახალისება გაიზარდა, თუმცა შედეგების მიხედვით საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი მხოლოდ 24 ქალით იყო წარმოდგენილი, ხოლო 2017 წლის 12 ივნისს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფმა პარლამენტში კიდევ ერთხელ შეიტანა გენდერული კვოტირების კანონპროექტი, ინიციატივის მიღების შემთხვევაში კი პარტია ვალდებული იყო სიაში ყოველი მეორე განსხვავებული სქესის წარმომადგენელი ყოფილიყო. წელს კი საქართველოს პარლამენტმა საარჩევნო კოდექსის ცვლილებათა პაკეტი, მათ შორის, სავალდებულო გენდერული კვოტები, დაამტკიცა, რაც მიზნად ისახავს პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის ეტაპობრივ ზრდას. კერძოდ, აღნიშნული ცვლილება პოლიტიკურ სუბიექტებს ავალდებულებს, 2028 წლამდე ჩასატარებელ საპარლამენტო არჩევნებში, ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის წარსადგენ პარტიულ სიაში განსხვავებული სქესის წარმომადგენელი მიუთითოს სულ მცირე ყოველ მეოთხე კანდიდატად, ხოლო 2028 წლიდან 2032 წლამდე ჩასატარებელ საპარლამენტო არჩევნებში კი - პარტიულ სიაში განსხვავებული სქესის წარმომადგენელი მითითებულ იყოს მინიმუმ ყოველ მესამე კანდიდატად. ექსპერტების შეფასებით გენდერული კვოტირების აღნიშნული მხარდაჭერით ქართულმა სახელმწიფომ კიდევ ერთი, შედეგზე ორიენტირებული, პრაგმატული ნაბიჯი გადადგა ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის.

ავტორი: ლელა ლობჟანიძე